ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 9

ქ. თბილისი, 3 აპრილი, 2024 წელი

სხდომა გახსნა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, დეკანმა, პროფესორმა გიორგი ღაღანიძემ.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი

სხდომას ესწრებოდა 32 ხმის უფლების მქონე წევრი

დღის წესრიგი:

1. თსუ კურსდამთავრებულთათვის ხარისხის კორექტირების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

2. თსუ კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

3. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

4. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 19 მარტის №323062 წერილზე თანდართული დ. ნიჟარაძის განცხადებაზე ჩამოყალიბებული პასუხის განხილვა

/კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში, დ. მახვილაძე/

5. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის, დეკანის, **პროფესორ გიორგი ღაღანიძის** ინფორმაცია საბჭოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს: კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის კორექტირების შესახებ

/ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოც. პროფ. მ. ჩავლეიშვილი/

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე შემოსული წერილით (№7709/10, 19.03.2024) სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტმა მოითხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2005 წლის კურსდამთავრებულ თამარ სოფრომაძის დიპლომის დანართი. საქმის შესწავლისას აუცილებელი გახდა თსუ რექტორის 2014 წლის 16 აპრილის №55/01-01 ბრძანების შესაბამისად კურსდამთავრებულის დიპლომის ფორმისთვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა და მისთვის მინიჭებული აკადემიური ხარისხის კორექტირება.

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა ჩაატარა ადმინისტრაციული საქმისწარმოება და წარმოდგენილი საარქივო მასალების შესწავლის საფუძველზე დაადგინა, რომ თამარ სოფრომაძე 2001 წლის მისაღები გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების არასაბიუჯეტო განყოფილების ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობაზე (ბრძანება №4/760, 27.08.2001).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის არასაბიუჯეტო განყოფილების საბანკო საქმის სპეციალობის 2005 წლის კურსდამთავრებულ თამარ სოფრომაძეს ეკონომიკისა ფაკულტეტის „საბანკო საქმის“ სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 8 ივნისის საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილებით (შემაჯამებელი ოქმი №5) და ხარისხის მინიჭების შესახებ თსუ რექტორის

2005 წლის 8 ივლისის №4/611 ბრძანებით მიენიჭა **ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ეკონომისტის კვალიფიკაციით** და მიეცა ბაკალავრის დიპლომი წარჩინებით.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა მოიძია 2005 წელს თსუ-ს მიერ გამოცემული საცნობარო ხასიათის გზამკვლევი, რომელიც მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესახებ ფაქტობრივ ინფორმაციას ინსტიტუციური აკრედიტაციის მიჯნაზე - 2004 წლის ბოლოსთვის. ცნობარიდან ჩანს, რომ ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატში „ფინანსები და საბანკო საქმის" სპეციალობის კურსდამთავრებულთ ენიჭებოდათ **ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი**.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა შესწორდეს ეკონომიკის ფაკულტეტის „საბანკო საქმის" სპეციალობაში ფაკულტეტის საბჭოს საატესტაციო სხდომის გადაწყვეტილება (შემაჯამებელი ოქმი №5, 8.06.2005) და კურსდამთავრებულებს ნაცვლად ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხისა ეკონომიკისტის კვალიფიკაციით"*** მიენიჭოთ ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით"***.

ფაკულტეტის საბჭოს ეთხოვა ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების (არასაბიუჯეტო განყოფილების) ფინანსები და საბანკო საქმის (საბანკო საქმის) სპეციალობის კურსდამთვრებულ თამარ სოფრომაძისთვის მინიჭებული კვალიფიკაციის დაკონკრეტება. კერძოდ, თამარ სოფრომაძეს მინიჭებული ხარისხის ***„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით"*** ნაცვლად მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით"***. აღნიშნული ცვლილება კი გავრცელდეს წარმოდგენილ ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე (სულ 64 კურსდამთავრებული).

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

1.ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ეკონომიკის ფაკულტეტის დღის სწავლების (არასაბიუჯეტო განყოფილების) ფინანსები და საბანკო საქმის (საბანკო საქმის) სპეციალობის კურსდამთვრებულ თამარ სოფრომაძეს

მინიჭებული ხარისხის *„ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“* ნაცვლად მიენიჭოს ***„ეკონომიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ეკონომისტის კვალიფიკაციით“.***

2. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს წარმოდგენილ ოქმში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილებები განხორციელდეს ინდივიდუალური მომართვის შემთხვევაში.

მოისმინეს: თსუ კურსდამთავრებულთა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა მარინა ჩავლეიშვილმა აღნიშნა, რომ

ა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულია წერილი (N9338/29/9338-29-3-202404021547) აკადემიური ხარისხის მინიჭების შუამდგომლობის შესახებ (2024 წლის 2 აპრილის თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) აკადემიურ საქმეთა კომიტეტის საბჭოს გადაწყვეტილება), რომლითაც ითხოვს **მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი** თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET)-ის 2024 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

ბაკალავრიატი:

№	სახელი	გვარი	პირადი ნომერი
	დიპლომი წარჩინებით		
1	ანასტასია	ჩხენკელი	01008057257
	დიპლომი ჩვეულებრივი		
2	ზერიკა	ზაბახიძე	38001047775
3	გიგა	კახოიძე	08001037242
4	გურამ	გიუნაშვილი	01024082647
5	ელენე	თორია	62002000047
6	თინათინ	ჩულაშვილი	01605046492
7	ლუკა	ცერცვაძე	17001032557
8	მეგი	ჭანტურია	62001044536
9	ნათია	იობიძე	60001158595
10	ნინო	ხუციშვილი	35001128058
11	სალომე	სულაქველიძე	60001137515

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს ეკონომიკის ბაკალავრის ხარისხი თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET)-ის 2024 სასწავლო წლის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

ბაკალავრიატი:

№	**სახელი**	**გვარი**	**პირადი ნომერი**
	დიპლომი წარჩინებით		
1	ანასტასია	ჩხენკელი	01008057257
	დიპლომი ჩვეულებრივი		
2	ბერიკა	ზაბახიძე	38001047775
3	გიგა	კახოიძე	08001037242
4	გურამ	გიუნაშვილი	01024082647
5	ელენე	თორია	62002000047
6	თინათინ	ჩულაშვილი	01605046492
7	ლუკა	ცერცვაძე	17001032557
8	მეგი	ჭანტურია	62001044536
9	ნათია	იობიძე	60001158595
10	ნინო	ხუციშვილი	35001128058
11	სალომე	სულაქველიძე	60001137515

ბ. მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

N	**გვარი, სახელი**	**პირადი ნომერი**	**დამატებითი სპეციალობა (Minor)**

	<u>დიპლომი ჩვეულებრივი</u>		
1.	თამარი ბუჩუკური	01027080752	
2.	ბექა გირგვლიანი	62102007851	
3.	ილია გოგოლაშვილი	35001117698	
4.	ქეთევან ლეკიშვილი	12001095874	
5.	ნინო ლომიძე	57301062827	
6.	ქეთევან პაპიძე	47001042405	
7.	ნიჯატ სადიევი	28001100795	
8.	ავთანდილ ქარაბაკი	09001025956	
9.	ნიკა ქურთიაშვილი	13001062411	
10.	მარიამ ჩიღოშვილი	01001093273	

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ტურიზმში 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ტურიზმის საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგ კურსდამთავრებულებს:

N	**გვარი, სახელი**	**პირადი ნომერი**	**დამატებითი სპეციალობა** (Minor)
	<u>დიპლომი ჩვეულებრივი</u>		
1.	თამარი ბუჩუკური	01027080752	
2.	ბექა გირგვლიანი	62102007851	

3.	ილია გოგოლაშვილი	35001117698	
4.	ქეთევან ლეკიშვილი	12001095874	
5.	ნინო ლომიძე	57301062827	
6.	ქეთევან პაპიძე	47001042405	
7.	ნიჯატ სადიევი	28001100795	
8.	ავთანდილ ქარაბაკი	09001025956	
9.	ნიკა ქურთიაშვილი	13001062411	
10	მარიამ ჩიღოშვილი	01001093273	

მოისმინეს: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, ასოცირებული პროფესორის მ. ჩავლეიშვილის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ

1. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 81)

ცვლილებების აღწერა:

ა. კონცენტრაცია „მენეჯმენტი:

- სასწავლო კურსი „სტრატეგიული მენეჯმენტი (სავალდებულო)“ ამოღებულ იქნა მენეჯმენტის კონცენტრაციიდან და გადატანილ იქნა ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსად;
- სასწავლო კურსი „ანტიკრიზისული მენეჯმენტი (სავალდებულო)“ მე-3 სემესტრიდან გადატანილ იქნა მე-2 სემესტრში;
- სასწავლო კურსი „ელექტრონული მმართველობა სავალდებულო“ დაემატა კონცენტრაციას მესამე სემესტრში.

ბ. კონცენტრაცია „საჯარო მმართველობა“

- სასწავლო კურსი „სტრატეგიული მენეჯმენტი (არჩევითი)“ ამოღებულ იქნა საჯარო მმართველობის კონცენტრაციიდან და გადატანილ იქნა ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსად;
- სასწავლო კურსი „მონაცემთა ანალიზი და მოდელირება მენეჯმენტში (არჩევითი)“ დაემატა საჯარო მმართველობის კონცენტრაციას მესამე სემესტრში.

2. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 78),

ცვლილებების აღწერა:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „საჯარო მმართველობის“ მოდულის ხელმძღვანელებად განისაზღვრა: პროფესორი დ. ნარმანია, და ასოც. პროფესორი ვ. კიკუტაძე

აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით არავის გამოუთქვამს
ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 32
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: დამტკიცდეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებში - 1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 78), 2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (აკადემიური საბჭოს 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილება, დანართი 81 - წარმოდგენილი ცვლილებები.

მოისმინეს: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 19 მარტის №323062 წერილზე თანდართული დ. ნიჟარაძის განცხადებაზე ჩამოყალიბებული პასუხის განხილვა

/კონსულტანტი იურიდიულ საკითხებში, დ. მახვილაძე/

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივით დაისვა საკითხი და საბჭოს ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სხდომის თავმჯდომარედ აირჩია აკადემიკოსი ა. სილაგაძე.

კონსულტანტმა იურიდიულ საკითხებში დ. მახვილაძემ საბჭოს წარუდგინა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 19 მარტის №323062 წერილზე თანდართული დ. ნიჟარაძის განცხადებაზე ჩამოყალიბებული შემდეგი შინაარსის პასუხის პროექტი:
„განვიხილეთ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2024 წლის 19 მარტის №323062 წერილზე თანდართული დავით ნიჟარაძის განცხადება და წარმოგიდგენთ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ადმინისტრაციის პოზიციას განცხადებაში დაფიქსირებულ საკითხებთან მიმართებაში.

ერთმნიშვნელოვნად აღვნიშნავთ, რომ დავით ნიჟარაძის განცხადება, შინაარსობრივი, შეფასებითი თუ ფაქტობრივი გარემოებების ნაწილებით, სრული მოცულობით, წარმოადგენს სიცრუეს; უნივერსიტეტის არჩეული ხელმძღვანელების მიმართ უსაფუძვლოდ იყენებს გაუმართლებელ ტერმინებს და მისი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების რეალიზებისას, სრულად უგულვებელყოფს მეორე მხარის ასევე

საყოველთაოდ აღიარებულ პატივისა და ღირსების უფლებას; ამით, რეპუტაციული რისკის წინაშე აყენებს კოლეგებს და თავად უნივერსიტეტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროება მოითხოვს, ჩვენს წერილში გამოვეხმაუროთ დ. ნიჟარაძის განცხადების თითოეულ შემადგენელს ფაკულტეტთან მიმართებაში.

I. დეკანის პოზიციაზე ჩემი არჩევა, ნაცვლად 2017 წლისა, განხორციელდა 2018 წელს.

სიცრუეა „ფაკულტეტზე არსებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელად" ჩემი წარმოჩენა განცხადებაში, ვინაიდან მე, როგორც ფაკულტეტის პროფესორი, სხვა პროფესორების ანალოგიურად, არსებული პრაქტიკის მიხედვით, როგორც მოდულის ხელმძღვანელი ვარ ზოგიერთ და არა ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებული თანახელმძღვანელად.

II. არც ერთ აკადემიურ თანამდებობის პირს, 2018 წელს ჩატარებულ აკადემიურ კონკურსში, არ გაუყვანია საკუთარი თავი „პროფესორის" თანამდებობაზე. აკადემიური თანამდებობების დაკავების მიზნით ღია კონკურსი ჩატარდა კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების მოთხოვნების შესაბამისად, მარეგულირებელ ნორმათა შინაარსობრივი და პროცედურული საკითხების სრული დაცვით. აღნიშნულის დასტურია თუნდაც ბოლოს, უშუალოდ დავით ნიჟარაძის სარჩელთან მიმართებაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმდინარე წლის 19 მარტის გადაწყვეტილება, რომლითაც არცერთი სასარჩელო მოთხოვნა არ დაუკმაყოფილდა მას.

III. სიცრუეა განცხადებაში კათედრის შექმნის შინაარსობრივი ნაწილიც და განმცხადებლის შეფასებებიც.

წარმოგიდგენთ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის - „გლობალურ გარემოში მენეჯმენტის" კათედრის შექმნასთან დაკავშირებული პროცესის მოკლე აღწერას:

ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის რეორგანიზაციის ინიციატივის, კერძოდ, აღნიშნული კათედრის აკადემიური პერსონალის ნაწილის გაერთიანებით სხვა, ახალი კათედრის შექმნის თაობაზე საკითხის განხილვა წარიმართა დაინტერესებული პირების ჩართულობის სრული უზრუნველყოფით.

მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის წევრების აზრთა სხვადასხვაობისა და ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები გამო, თსუ-ის რექტორის მოადგილის 2019 წლის 26 ივლისის N 14466/10 კორესპონდენციის საფუძველზე, იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა განახორციელა მედიაციის (შუამავლობის) პროცედურა. განხორციელებულმა მედიაციამ უზრუნველყო მხარეთა პოზიციებისა და არგუმენტაციის მკაფიოდ გამოკვეთა, თუმცა ვერ მოხერხდა კათედრის რეორგანიზაციის მომხრე წევრებსა და მოწინააღმდეგე წევრებს შორის განსხვავებული პოზიციების ურთიერთშეჯერება.

2019 წლის 7 აგვისტოს თსუ-ის რექტორის ხელმძღვანელობით შედგა დამატებითი კონსულტაცია მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის პროფესორსა და კათედრის ხელმძღვანელს შორის. დამატებითი კონსულტაციების საფუძველზე ჩამოყალიბდა პოზიცია,განხორციელებულიყო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ახალი კათედრის შექმნის ინიციატივის წარდგენა და განხილვა დადგენილი წესით (განისაზღვრა კონკრეტული თარიღი); წარდგენილი უნდა ყოფილიყო ინიციატივა, რომელიც გაითვალისწინებდა საგანმანათლებლო პროგრამის ახალი მოდულების განვითარებას;

ვინაიდან ზემოაღნიშნულს შესაძლოა მოეცვა 1 ან 2 სასწავლო სემესტრი, მიმდინარე პროცესების შეუფერხებლად განხორციელებისათვის (მაგ.: საათობრივი დატვირთვა, სასწავლო დისციპლინების განაწილება და სხვ.) მიღწეული იქნა შეთანხმება ზემოთჩამოთვლილი საკითხების ერთობლივად განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ.

განხორციელებული მედიაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის2019 წლის 07 აგვისტოს №15310/10 მოხსენებით ბარათსა და მის დანართებში.

2019 წლის 15 აგვისტოს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭომ, დადგენილი წესით განიხილა საკითხი და გადაწყვიტა (მომხრე - 28; წინააღმდეგი - 2):

„1. შეიქმნას ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ახალი სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული - გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა;

2. გარდამავალ პრიოდად განისაზღვროს ორი სასწავლო სემესტრი, 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან;

3. გარდამავალ პერიოდში მენეჯმენტისა და ადმინისტრირების და გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრების წევრთა აკადემიური დატვირთვები და სასწავლო საათების განაწილება განხორციელდეს ორი პროფესორის - გიორგი ღაღანიძისა და დავით ნარმანიას ხელმძღვანელობით;

4. განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების მე-14 მუხლის მე-2 პუნტში და დაემატოს „ი1“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ი1) გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრა;“

5. ეთხოვოს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს დაამტკიცოს ამ გადაწყვეტილების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება/დამატება ფაკულტეტის დებულებაში;

6. გარდამავალ პერიოდში მიმდინარე პროცესებზე მონიტორინგი განახორციელონ ფაკულტეტის წარმომადგენლებმა აკადემიურ საბჭოში - აკადემიკოსი ა. სილაგაძე, პროფესორი ე. მექვაბიშვილი და პროფესორი თ. შენგელია.“

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში დამატების შეტანის თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება, 2019 წლის 04 სექტემბრის N 16610/29 წერილით იქნა წარმოდგენილი თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად. წარდგინებას თან ახლდა ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 15 აგვისტოს სხდომის #13 ოქმიდან ამონაწერი.

ყოველივე ზემოაღნიშნული ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე „გლობალურ გარემოში მენეჯმენტის კათედრის“ შექმნის ინიცირებიდან დაწყებული, საკითხის საბოლოო გადაწყვეტის ეტაპამდე, ჩართულობის მაღალი ხარისხით იყო წარმოდგენილი ყველა დაინტერესებული პირი და უნივერსიტეტის კოლეგიური მართვის ორგანოები/მმართველი სუბიექტები. პროცესი წარიმართა კვალიფიციურად და გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა კოლეგიური წესით, ხმათა მნიშვნელოვანი უმრავლესობით.

ახალი კათედრის შექმნის და თანმდევი მოდულების ფუნქციონირებაზე საჩივრები იქნა გაგზავნილი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, რამაც

გამოიწვია არაგეგმიური მონიტორინგების განხორციელება. მონიტორინგის შედეგად, არანაირი დარღვევა ან გადაცდომა არ დადასტურდა. შედეგად, ახალი მოდულები ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურზე შეუფერხებლად ფუნქციონირებს. შესაბამისად, დავით ნიჟარაძის განცხადებაში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოებები და შეფასებები ძალიან შორს დგას სიმართლისგან.

IV. სიცრუეა დ. ნიჟარაძის განცხადებაში დაფიქსირებული ფაქტობრივი გარემოება, მისი უნივერსიტეტიდან „გამოშვების" თაობაზე, „მუშაობის 10 წელზე მეტი სტაჟის მიუხედავად".

დავით ნიჟარაძესთან, სრული პერიოდის გათვალისწინებით, შრომითი ურთიერთობა შემოიფარგლებოდა მოწვეულ სპეციალისტთან სემესტრულად გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. ამ ხელშკრულებების ვადა იწყებოდა და სრულდებოდა კონკრეტულ სასწავლო სემესტრებში განსაზღვრული სასწავლო პროცესის ვადების შესაბამისად. თავად სპეციალისტის მოწვევა, მოგეხსენებათ, ხორციელდება სასწავლო პროცესის წარმართვის საჭიროებიდან გამომდინარე, კონკრეტულ სემესტრში არსებული საათობრივი დატვირთვის გათვალისწინებით.

ფაკულტეტის მართვის ორგანოს - ფაკულტეტის საბჭოს დამტკიცებული აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვის წესების დაცვის პირობებში, საჭიროების არარსებობის გამო, ფაკულტეტის მიერ, დავით ნიჟარაძის არ მოწვევა კონკრეტულ სასწავლო სემესტრში (მოწვევა არ განხორციელდა მხოლოდ 2 სემესტრში), დაუშვებელია შეფასდეს მის „უნივერსიტეტიდან გაშვებად". აღსანიშნავია, რომ წინა სასწავლო სემესტრშიც, დღესაც და განცხადების/საჩივრის დაწერის თარიღშიც, დ. ნიჟარაძე სარგებლობს თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული სპეციალისტის სტატუსით.

V. რაც შეეხება განცხადებაში დაფიქსირებულ დ. ნიჟარაძესთან არათანაბარი მოპყრობის ფაქტობრივ გარემოებას, აღსანიშნავია, რომ იდენტურ პერიოდში, ანალოგიური საფუძვლითა და სახალხო დამცველის იმავე რეკომენდაციის პირობებში, მოდავე მეორე პირის სასარჩელო მოთხოვნები პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა, ხოლო მეორე ინსტანციაში, სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 დეკემბრის განჩინებით, საქმე დასრულდა მხარეთა მორიგებით, რომლის თანახმად, მოსარჩელემ უარი თქვა სასარჩელო მოთხოვნაზე: „განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენა, დისკრიმინაციის შედეგების აღმოფხვრა, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება." ასევე აღსანიშნავია, რომ განმცხადებელი ცრუობს, როდესაც კონკრეტულ საკითხს აძლევს „გაგნგრძობით" ხასიათს. სიმართლე გახლავთ ის, რომ მისი კონკრეტულ სემესტრში სპეციალისტად არმოწვევის ფაქტი სახალხო დამცველმა შეაფასა დისკრიმინაციად და გასცა კონკრეტული რეკომენდაციები. სასამართლოში დავის შედეგად, სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა დ. ნიჟარაძის მოთხოვნა, კონკრეტულ, 2019-2020 წლის საშემოდგომოსემესტრთან მიმართებაში, ხოლო შემდგომ სასწავლო სემესტრში მასთან არათანაბარი მოპყრობის ფაქტის დადგენის მოთხოვნა სასამართლომ არ დააკმაყოფილა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო დავის პერიოდში დავით ნიჟარაძე იკავებდა მოწვეული სპეციალისტის თანამდებობას.

VI. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრად ჩემი დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით, მოგახსენებთ, რომ აკრედიტაციის საბჭოს წევრის

უფლებამოსილებას ვახორციელებდი აგრეთვე 2021 წლის 17 თებერვლიდან ერთი წლის ვადით. 2021 წლის აკრედიტაციის საბჭოს მოწვევის ვადის გასვლის შემდგომ, მივიღე სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 13 აპრილის #385402 მადლობის წერილი, უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებაში შეტანილი წვლილის, გამოჩენილი პრინციპულობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის.

რაც შეეხება ფაკულტეტის დოქტორანტ დავით ფაცაციას, იგი ჩარიცხულია ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე. ამჟამადაც აგრძელებს კვლევას დოქტორანტის სტატუსით. ბატონი დავით ფაცაცია, ისევე როგორც ფაკულტეტის სხვა დოქტორანტები, იდენტური ანაზღაურებითა და სამუშო გარემოში, თანაბარ პირობებში ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესში მოწვეული სპეციალისტის საქმიანობას. ამიტომ, ყველანაირ ზნეობრივ ნორმებს სცდება განმცხადებლის აქცენტები დოქტორანტთან მიმართებაში.

ბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის სამწუხარო ფაქტობრივი გარემოება, რომ დავით ნიჟარაძე უსაფუძვლოდ და უარგუმენტოდ იყენებს ტერმინებს: „აკადემიური (თუ არააკადემიური) კორუფცია“, „ფაკულტეტი „კანტორად“ მიაჩნია“,„ფაკულტეტს მხოლოდ საკუთარ ინტერესებზემორგებული გადაწყვეტილებებით მართავს“, „შეიქმნა პერსონიფიცირებული,დუბლირებული კათედრა“, „მისი გაზრდილი „მადის“ შემჩერებელი არავინაა“ და ა.შ. განმცხადებლის ასეთი დამოკიდებულება, ნეგატიური ფორმით გამოხატული სუბიექტურობის ხარისხი და შეურაცხყოფის შემცველი მცდარი შეფასებები არის კატეგორიულად მიუღებელი თანამედროვე აკადემიური სივრცისთვის.“

აზრი გამოთქვეს: აკადემიკოსმა ა. სილაგაძემ, პროფესორებმა ე. მექვაბიშვილმა, თ. შენგელიამ, ლ. საბაურმა.

სიტყვით გამომსვლელების მიერ აღინიშნა, რომ წარმოდგენილი წერილის პროექტის შინაარსი მისაღებია საბჭოსთვის. ხაზი გაესვა წერილის ერთ-ერთ საკითხს, დოქტორანტის საათობრივ დატვირთვასთან მიმართებაში და ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა დ. ნიჟარაძის მიერ დამახინჯებული მოცემულობის აბსურდულობა. აგრეთვე აღინიშნა, რომ წერტილი უნდა დაესვას განგრძობადი ხასიათის მქონე შეურაცხმყოფელ ქმედებებს, საუბარსა და ტერმინებს, რომელიც არ შეეფერება და შეურაცხჰყოფს უნივერსიტეტს, ფაკულტეტსა და აკადემიური პერსონალის კორპუსს.

მსურველთა მიერ მოსაზრებების გამოხატვის შემდგომ, სხდომის თავმჯდომარის, აკადემიკოს ა. სილაგაძის მიერ, ღია კენჭისყრაზე დაისვა საკითხი ფორმულირებით, რამდენად იზიარებდა ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული საპასუხო წერილის პროექტის შინაარსს.

კენჭისყრის დროს სხდომას ესწრებოდა 30 წევრი.

ჩატარდა კენჭისყრა
კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30
წინააღმდეგი - 0

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭო იზიარებს ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ მომზადებული საპასუხო წერილის პროექტის შინაარსს.

მიმდინარე საკითხები

1. **სხდომის თავმჯდომარემ, პროფესორმა გ. ღაღანიძემ** საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ა/წ 30 მარტს ფაკულტეტზე ჩატარდა პროფესორ გივი ჭანუყვაძისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც პროფესორმა ბ. კალანდიამ წამოაყენა წინადადება უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსში, იქ სადაც მოღვაწეობდა პროფესორი გივი ჭანუყვაძე გაიხსნას მისი სახელობის აუდიტორია.

   ფაკულტეტის საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება, რომ მაღლივი კორპუსის მე-4 სართულზე ერთერთ აუდიტორიას მიენიჭოს პროფესორ გივი ჭანუყვაძის სახელი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გ. ღაღანიძე

მდივანი, ასოცირებული პროფესორი ბ. ერქომაიშვილი